საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

შაბათი, 2 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია …ის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 500 მან.

ფასი 10 მან.

№ 57 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 57

## პოლონეთის ფრონტზე

პოლონეთის ფრონტზე სამხედრო კრიზისი ჯერჯერობით გრძელდება და არც უჩანს პირი მის მოკლე ხანში დასრულებას. მართალია, საზავო მოლაპარაკება სწარმოებს, მარა ამავე დროს საომარი მოქმედებაც ძველებურად მიმდინარეობს. თუ საბჭოთა რუსეთმა ვერ მიაღწია თითქმის მოახლოვებულ შედეგს—პოლონეთის შლიახტის ძლიერების განადგურებას, სამაგიეროთ, ვერც პოლონელი თეთრ გვარდიელები დაიკვეხებენ თავის შეუჩერებელ ძლევა-მოსილებას. მართალია, საბჭოთა ჯარმა საგრძნობი მარცხი განიცადა და საკმაოთ უკან დაიხია, მარა უკვე დაიბრუნა უნარი მკაცრი წინააღმდეგობისა და ბევრ ალაგას შეტევაზედაც გადადის. პოლონელებს ვერ ანიჭებს გამარჯვებას ვერც ინგლის-საფრანგეთის ტანკები, ვერც მათი გენერლების დახმარება და ვერც დაუზოგავი ხარჯვა იმ მასალისა, რომელსაც ცოცხალი ადამიანის ძალა ეწოდება. პოლონეთი ველარ მოიწევს საგრძნობლად წინ, ხოლო საბჭოთა ჯარებსაც ჯერ კიდევ ვერ მოუკრებიათ იმდენი ძალა, რომ თავზარდამცემი იერიშით ვარშავის კარებს გააცილოს ევროპიელ იმპერიალისტების ნასუფრალით გამძღარი პოლონელი პანები.

ასეთ პირობებში სწარმოებს საზავო მოლაპარაკება და მისი მიმდინარეობა სავსებით გამოხატავს ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. ომის ბედი ცვალებადია, მაგრამ პოლონელებს დიდი იმედი აქვთ შექმნილ გაურკვევლობისა, სულის კაწკაწით მოელიან ამ გაურკვევლობის მათ სასარგებლოთ შეცვლას და ასეთი სულიერი განწყობილება სავსებით გადააქვთ საზავო მოლაპარაკებაზედაც. ეს მოლაპარაკება ჭიანურდება მიუხედავათ საბჭოთა რუსეთის მხრით დიდი დათმობისა და მისი მეტად გარკვეული პოზიციისა. ბურჟუაზიული პოლონეთი წერას აუტანია და გონიერებას არავითარ ანგარიშს არ უწევს.

საბჭოთა რუსეთის მიერ წარდგენილი საზავო პირობები კი ისეთია, რომ ვერც ერთი მისი მოსისხლე მტერიც კი ვერ აცხადებს, რომ ამ პირობებში რაიმე უსამართლობას ადგილი ქონდეს. რუსეთი ისეთ დათმობაზე მიდის, რომ პოლონელ თეთრ-გვარდიელებს სიზმრათაც არ მოელანდებოდათ. და ამას სჩადის რუსეთი მხოლოთ იმ მოსაზრებით, რომ შესწყდეს ხალხთა ჟლეტა და მისი მშრომელი ხალხი დაუბრუნდეს მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას.

მაგრამ ასე არ უყურებს საკითხს პოლონეთის ბურჟუაზია. მას გონია, რომ რაკი რუსეთი მისებრ იმპერიალისტური სულისკვეთებით არ არის გაჟღენთილი და თანხმდება ფვით ტერიტორიის დათმობასაც, ეს უეჭველათ საბჭოთა ჯარის სისუსტიდან უნდა იყოს წარმომდგარი. აქ მას თვალწინ ეხატება ერთი მეორეზე მომხიბლავი პერსპექტივები, რომლის მიხედვით პოლონეთი უნდა შეიქნეს გეგემონი და ბატონ-პატრონი მთელი აღმოსავლეთ ევროპისა. ის ოცნებობს ბალტიისა და შავ ზღვაზე ბატონობის შესახებ და გაძლიერებული ენერგიით ცდილობს მიზნის მიღწევას. ეს მისწრაფება მით უფრო ცხოველდება მასში, რომ მას მხარს უჭერენ მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოები, რომლებსაც თავის თავი მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონათ მიაჩნიათ.

უეჭველია, საბჭოთა რუსეთს, მიუხედავათ თავისი სამშვიდობო განწყობილებისა, დასჭირდება კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი მისცეს სიხარბით დათვრალ პოლონელ ჯალათებს და აჩვენოს რა ყოს მათი ოცნების უნიადაგობა. ამან შეიძლება მოითხოვოს ძალთა გაძლიერებული დაჭიმვა, მაგრამ მრავალ ბრძოლათა გადამხდელი საბჭოთა რუსეთი ღირსეულათ და სახელოვანათ შეასრულებს მას.

## კაუცკი და მენშევიკები

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისეთი მომენტები მენშევიკების ცხოვრებაში, როდესაც მათ მართალი წამოცდებათ. მაგალითად კაუცკისადმი მისასალმებელ წერილში აი რას სწერს 29 სექტემბერს გაზ. „ერთობა“:

„რუსეთის რევოლიუციამდი იგი (ე. ი. კაუცკი) ყველა სოციალისტური პარტიების თვალში უდიდეს ავტორიტეტით სარგებლობდა. საერთაშორისო ქარტეხილით გამოწვეულმა აზრთა არევ-დარევამ კ. კ ა უ ც კ ი ს ჩ ა მ ო ა შ ო რ ა ბ ე ვ რ ი  წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი  მ ი მ დ ე ვ რ ე ბ ი. (ხაზი ჩვენია) ჩვენს თვალში კი კ. კაუცკის ავტორიტეტი დღესაც ისევე მაღალია, როგორიც მუდამ იყო“. მართალი არის „ერთობა“, როდესაც ამბობს, რომ კ. კაუცკის ჩამოშორდა ბევრი წინანდელი მიმდევრებიო. მისასალმებელ წერილში, ცხადია „ერთობა“ ვერ შეუდგებოდა (და მგონი არც მომავალში ისურვებს) დეტალურათ იმის გამორკვევას, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ის, რომ კაუცკის ჩამოშორდენ ბევრი მისი წინანდელი მიმდევრები. „ერთობა“ მხოლოდ ორი სიტყვით ამბობს, რომ ჩამოშორება გამოიწვია „საერთაშორისო ქარტეხილით გამოწვეულმა აზრთა არევ-დარევამო“.

„ერთობა“ არ ამბობს, თუ ვის თავში გამოიწვია „საერთაშორისო ქარტეხილმა აზრთა არევ-დარევა“, ის არ ამბობს, თუ ვის აზროვნებაში მოხდა გადატეხა, ვინ აცდა მარქსიზმის გზას—კ. კაუცკი, თუ ისინი, ვინც კაუცკის ჩამოშორდენ. ამ კითხვის შესახებ მენშევიკებისაგან გვსმენია მხოლოდ ტრაფარეტულათ წამოსროლილი სიტყვები ანარქიზმზე, ბლანკიზმზე, ტერორზე, „ვორონეჟის ნუჟიკზე“, ბაშკირებზე და სხვა ასეთი მარგალიტები. რაც შეეხება იმის მეცნიერულ დასაბუთებას, თუ ვინ სდგას სწორ მარქსისტულ გზაზე კაუცკი და კაუცკიელები თუ ისინი, ვინც კაუცკის ჩამოშორდენ—ამაზე მენშევიკები არას ამბობენ. ამ კითხვას ჩვენი გაზეთის ერთმა თანამშრომელმა რამოდენიმე ფელეტონი უძღვნა. აქ იყო პარალელი გაყვანილი ძველსა და ახალ კაუცკის შორის. ამ ფელეტონებიდან ყველასთვის ნათლად სჩანდა თუ რა გარდატეხა მოხდა კაუცკის აზროვნებაში მას შემდეგ, რაც საერთოთ მსოფლიო და კერძოთ რუსეთის პროლეტარიატმა, დღიურ წესრიგში დააყენა სოციალისტური რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების საკითხი. აქ ნათლათ იყო გარკვეული, თუ როგორ უყურებდა კ. კაუცკი რუსეთის პროლეტარიატს, მომავალ მის ბრძოლას, თუ როგორ გადადიოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ხელიდან—რუსეთის პროლეტარიატის ხელში, თუ როგორ, რუსეთის ბურჟუაზიის უვარგისობის გამო, მთელი რუსეთის ხალხის საკეთილ დღეოთ ბრძოლის დროშა ხელში უნდა აეღო რუსეთის პროლეტარიატს, რომელსაც გლეხობაც დაეხმარებოდა, მხოლოდ ამ ბრძოლის დროს მთავარი მედროშე კი იქნებოდა რუსეთის პროლეტარიატი, ბრძოლის ინიციატივა პროლეტარიატის ხელთ იქნებოდა. ყველაფერს ამას კაუცკი სწერდა ძველათ, როდესაც ის მარქსისტი იყო, როდესაც ის პროლეტარიატის რიგებში მთავარ მებაირაღტრეთ ითვლებოდა. მხოლოდ შემდეგ, და უმთავრესათ მას შემდეგ, რაც რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის წითელი აჩრდილი მრისხანეთ დაემუქრა ძველს, დახავსებულს, ბურჟუაზიულ ქვეყანას, კაუცკიმაც იცვალა ფერი, ზურგი შეაქცია თავის ძველ გზას.

როდესაც უკვე დაჰკრა ბურჟუაზიისათვის საბედისწერო საათმა, როდესაც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადებიან მსოფლიო პროლეტარიატი და ბურჟუაზია და როდესაც რუსეთის პროლეტარიატი უკვე მესამე წელიწადია აწარმოებს გმირულ ბრძოლას მსოფლიო შავი რეაქციისა და მისი დამქაშების, ყოველგვარ სოციალ შოვინისტების წინააღმდეგ, აი, ამ დროს კ. კაუცკი მოექცა ბურჟუაზიის ბარიკადების მხარეზე. მას წითელი დროშის მაგიერ ხელში უჭირავს ყვითელი დროშა და ნანას უგალობს, ტკბილი ძილისკენ მოუხმობს პროლეტარიატის საბრძოლველათ გამზადებულ რაზმებს. ეს ნათელია ყველა იმისთვის, ვისაც კი წაკითხულის გაგების უნარი აქვს და ვინც ცოტათ თუ ბევრათ მაინც იცნობს ძველ კაუცკის და მის ნაწერებს და ვინც თვალყურს ადევნებს მის ეხლანდელ მოღვაწეობას და მწერლობას. აი რა არის, ბატონო მენშევიკებო იმის მიზეზი, რომ კაუცკის ჩამოშორდენ ბევრი მისი წინანდელი მიმდევრები. კიდევ მეტი, კ. კაუცკის არამც თუ ჩამოშორდენ, არამედ მას პროლეტარიატმა მოღალატის, რენეგატის იარლიკი მიაკრა შუბლზე. დღეს კაუცკი, ყველასგან მიტოვებული, მყუდრო თავშესაფარს, ნავთსაყუდელს დაეძებს, სადაც მას შეეძლება გულდამშვიდებით გაატაროს თავისი მოხუცებულობის, რენეგატობის და გამცემლობის უკანასკნელი დღეები.

აკი არ მოტყუვდა კ. კაუცკი საქართველოში ჩამოსვლით. „ჩვენს თვალში კი კ. კაუცკის ავტორიტეტი დღესაც ისევე მაღალია, როგორიც მუდამ იყოვო“—ამბობს „ერთობა“.

ნუ გეშინია, ჩემო ძვირფასო და „მუდამ ჟამს მოსაგონარო“ კ. კაუცკი, თუმცაღა ყველამ მიგატოვა, ევროპის პროლეტარიატმა გადაგისროლა შორს, როგორც მისთვის უვარგისი მჩვარი, მაგრამ ჩვენ, საქართველოს მენშევიკები ყოველთვის შენთან ვართ და ვიქნებითო—ეუბნებიან კ. კაუცკის საქართველოს მენშევიკები.

ამ იმედით მოვიდა კაუცკი საქართველოში და აკი მენშევიკებმაც გაუმართლეს მას იმედები, და დაუამებენ მას ევროპის პროლეტარიატის მიერ მიყენებულ ტკივილებს.

ზეიმობენ მენშევიკები ასეთი სტუმრების მოსვლის გამო და იზეიმებენ კიდეც, რადგან მათ გულს კარგა ხანია არ აღელვებს ტანჯულთა ოხვრა-კვნესა. კარგა ხანია მათი სმენა მიეჩვია ამ ხმებს. ეს მათთვის უცხო ხილი არ არის და არც თავს იტკივებენ მენშევიკები ამ ხმების გაგონებაზე.

დეკანხე.

## ადგილობრივი პრესა.

საინტერესო სურათს წარმოადგენს ტყუილებში დაჭერილი მენშევიკი, თუნდაც იგი დიდი პასუხისმგებლობით აღჭურვილი იყოს, თუნდაც იგი გვარდიის შტაბის წევრი და თვით ალ. დგებუაძეც იყოს. ჩვენ გაზ. „ერთობიდან“ ამოვიღეთ ა. დგებუაძის ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ „წარმოებათა 80 პროცენტი სახელმწიფოს ხელშიაო“ და ამას მენშევიკების ჩვეულებრივი ბაქი-ბუქობა ვუწოდეთ.

ამაზე ბ. დგებუაძე პირიდან ცოფრებს ყრის და ცდილობს თავზე კაკალი დაგვამტვრიოს. ვნახოთ, როგორ აღწევს ის თავის მიზანს:

„ქურდს ყველა ქურდი გონია სწერს ის, ცრუს ყველა ცრუ. მოღალატეს ყველა მოღალატე. კომუნისტები ძალიან დახელოვნებულები არიან ტრაბახობა-ბაქი-ბუქიობაში, ცრუპენტელობა ტყუილის თქმაში, ღედაბრულ ქოროხანობაში. ასეთი არის მათი არსი, მათი ბუნება ასეთი გონიათ მათ სხვები. ამიტომ სრულებით არ არის გასაკვირავი, რომ ამ სულდგმულთ ჩემ მიერ წამოყენებული დებულება სახალხო სახლში მრეწველობის შესახებ „სიცრუეთ“, „ტრაბახათ“, „ბაქი ბუქიობათ“ მოეჩვენათ“.

მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო. რას ერჩიან საწყალ ავლაბრელებს, რომლებიც დღესაც დაუშვებელი სიტყვა-პასუხს ოსტატებათ მიაჩნიათ, როდესაც სასახლეების ხშირი სტუმარი და ჩვენი მოკამათე ლანძღვაგინების ჩემპიონათ გამოდგება. რამ გაამწარა ის ასეთ თავდავიწყებამდე? ის გვეუბნება:

„მე მაშინაც ვამტკიცებდი და ახლაც ვიმეორებ, 80 პროც. ჩვენი მრეწველობისა არის საზოგადოებრივი—ორგანიზაციების ხელში და მხოლოთ 20 პროც. კერძო პირებ.ს მრეწველობაში და არა საზოგადოთ წარმოებაში (!), როგორც ამას „კომუნისტის“ № 51 მოწინავის ავტორი სწერს, რომელსაც ალბათ არც წარმოების და არც მრეწველობის არაფერი გაეგება, რომელმაც არ იცის, რომ მრეწველობა მხოლოთ ერთი დარგთაგანია წარმოების, რომ რაც არის ნათქვამი მრეწველობაზე, ისევე არ ითქმის საზოგადოთ წარმოებაზე“.

ბ. დგებუაძე ახლა ცდილობს გაიგოს, რომ წარმოება სხვაა და მრეწველობა სხვა და არ შეიძლება მათი ერთმანეთში არევა. ჩვენ კი მთელი ჩვენი სტატია იმაზე ავაგეთ, რომ უაღრესათ წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სადაც მსხვილი წარმოება თითქმის სრულიათ არ მოიპოვება, არ შეიძლება ლაპარაკი „80 პროც. სახელმწიფოს მიერ დასაკუთრებაზე“. არ შეიძლება ლაპარაკი, მარა ბ. დგებუაძე მაინც ლაპარაკობს, როგორც ამას გაზ. „ერთობა“ გადმოგვცემს, სადაც ახლა ამ ორატორს მწერლობაც დაუწყია. მარა იქნება ეს კორექტორული შეცდომაა? ჩვენც ასე გვეგონა და პირველათ ამას არც გამოვკიდებივართ, მარა როდესაც იგივე სიტყვები გაიმეორა ტყუილების მეორე ოსტატმა ბ. ხელაძემ, მაშინ კი გადავსწყვიტეთ, რომ აქ შეცდომას და რაიმე შემთხვევას ადგილი არა აქვს, აღვნიშნეთ ეს ჩვენს გაზეთში და შეუდექით წამოყენებულ დებულების გაკრიტიკებას. ბ. დგებუაძე კი ახლაც არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ის წყარო, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, ე. ი. გაზ. „ერთობა“ სწორეთ ვერ გადმოსცემს მის სიტყვებს, მას არ უნდა გამოტყდეს, რომ მისი სათაყვანო „ერთობა“ კორექტორულ შეცდომებს მაინც უშვებს ხანდახან. ის გვარწმუნებს—მე წარმოების ნაცვლათ მრეწველობა ვთქვიო ჩვენ მის წინააღმდეგ ვიომეთ „ერთობა,“ ახლა შევვიძლია მივმართოთ „ბორბას.“ იქ სულ არ არის სიტყვა „промышленность,“ რაც უდრის მრეწველობას, არამედ არის სიტყვა „предпріятіе,“ რომელიც ქართულ მწერლობაში ჯერ არავის უთარგმნია მრეწველობათ. იქნება ბ. დგებუაძემ ფრანგულათ თქვა თავისი სანაქებო სიტყვა და მთარგმნელებმა დაამახინჯეს მისი აზრი. მაინც რა ჩვენი ბრალია: ჩვენ იმ კრებას არ დავსწრებივართ და არც პასუხს, ვაგებთ იქაურ ლათაიებზე.

საინტერესოა ისიც, რომ თავისი ტრაბახის დასასაბუთებლათ ბ. დგებუაძე ჩამოსთვლის სხვა და სხვა სამრეწველო დარგებს და მით ააშკარავებს, რომ მას მართლა არა აქვს არავითარი წარმოდგენა არც მრეწველობაზე. აი დგებუაძის „მრეწველობა“: წიგნის მაღაზია ოთხი, შეშის საწყობი, ოთხი სასურსათო მაღაზია, სასურსათო განყოფილება, ყანა, სავაჭრო სახლი, ცენტრალური საკანცელარიო მაღაზია, საკომერციო განყოფილება და სხ. და სხ. და სხ. მსგავსი „მრეწველობანი“.

ერთი მარგალიტიც კიდევ და გავათავოთ. ბ. დგებუაძე რიხით სწერს:

„რას ნიშნავს 848 მომხმარებელი კოოპერატივი 303,050 წევრით, თუ იმას არა, რომ საზოგადოება, ხალხი ვაჭრობაშიაც შეიჭრა, აქაც ცდილობს გაბატონებას“!

რას ნიშნავსო? გვეკითხება ავტორი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კითხვის დამყენებელს არაფერი გაეგება არც წარმოებისა, არც მწერლობისა და არც ვაჭრობისა. თუ წარმოების და თუნდ მარტო მრეწველობის 80 პროც. თქვენს ხელშია, რაღა საქებურათ მიგაჩნიათ — ვაჭრობაშიაც შეიჭრა ხალხიო. რატომ არ იცით, რომ ვაჭრობა სავსებით დამოკიდებულია მრეწველობაზე.

მაგრამ მთელი თქვენი ჩამოჭრელებული „მრეწველობა“ მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ნამდვილათ არავითარი მრეწველობა არ გვქონია, მისი შემყურე ვაჭრობის საქმეც საეჭვოა და მისი 80 პროც.-ს დასაკუთრება არც იმდენათ სახარბიელოა, რომ ევროპიელებს მური აღუძრათ.

## თანახმად ტოლუმბაშისა.

„სოციალისტური“ სტუმრები წავიდენ. ორი კვირა ისრიალეს მათ სალონ-ვაგონებით და კრიალა ავტომობილებით საქართველოს ზოგ კუთხეებში, უმეტესად ქალაქებში. ყველგან სადღეგრძელოები, ყველგან საპარადო სიტყვები როგორც სტუმრების, ისე მასპინძლების მხრით! „ერთობა“ ამას ნათლავს „დაუღალავ მუშაობად“, და უწოდებს „ჩვენი ქვეყნის შეუჩერებლივ გაცნობას“. ბოლოს და ბოლოს მაინც რა დასკვნა გამოიყვანეს მენშევიკების სტუმრებმა თავიანთ დაკვირვებებიდან? „ერთობის“ რწმუნებით მათ ერთხმად მოუწონებიათ მმართველი პარტიის „პოლიტიკის მთავარი ხაზი“. ამ ხაზის შემადგენელი ნაწილი ყოფილა პირველ ყოვლისა პროგრამა—მინიმუმის განხორციელება, რაც უკვე დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს თურმე. ესაა—ცნობილი დემოკრატიზმი. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ როგორ განახორციელეს მენშევიკებმა თავიანთი პროგრამა—მინიმუმი როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ, აგრარულ და სოციალური სფეროში. აიღეთ ხელში ეს პროგრამა (თუ კი სადმე იშოვით მას მენშევიკების საპრძანებელში!) და შეადარე იმას, რაც არის სინამდვილეში განხორციელებული, ამოშალეთ ის, რაც მენშევიკების საქმიანობას ამოუშლია მასში და თქვენ მიიღებთ ისეთ „პროგრამას“, რომელიც მოგაგონებთ ომიანობის დროინ-

დელი რუსეთის სემხედრო ცენზურის ქვეშ გამოსულ გაზეთის ნომერს. და რაც დარჩენილა წაუშლელი ამ პროგრამაში, იმის განხორციელებაში თუ ვისმე მიუძღვის დამსახურება, მხოლოდ რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციას, რომლის კვალი ისევე წაუშლელია დღეს ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ სომხეთშიაც და ფინლიანდიაშიც, ესტონეთშიც და პოლონეთშიც.

მეორე უმთავრესი ნაწილი ნაქებ-ნადიდებ ხაზის—ეს დამოუკიდებლობის გამოცხადება ყოფილა. „საერთაშორისო მდგომარეობამ ჩვენ გვაიძულა—განუცხადებიათ „ერთობელებს“ სტუმრებისთვის—რუსეთს გამოვყოფოდით და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია“. სტუმრებსაც, თანახმათ მომთხრობელთა, დაუდასტურებიათ, რომ ეს „გამოცხადება სწორი ნაბიჯია“. არც ერთს კი არ გახსენებია, რომ გამოცხადების“ სისწორ-უსწორობაზე ლაპარაკი ზედმეტია: როცა ამ „გამოცხადებას“ მოითხოვდა“ ვეხიბ ფაშა“, როცა ამ „გამოცხადებას“ სიამოვნებით ხელი ჩასჭიდა ვილჰელმის გერმახიამ და ოკუპაციაზე დასთანხმდა—მენშევიკებს საკვეხნი არაფერი აქვთ: გამოუსავალ გაჭირვებისაგან, „აუცილებელ საჭიროებისაგან“ უმანკოება და სათნოება არ გამოიყვანების. არც გამოყავდათ წინეთ თვით მენშევიკებს:

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის გადაწყვეტის დროს ნ. ჟორდანიამ თავი შეიკავა. და თუ შემდეგში, საერთაშორისო ურთიერთობათა ცვალებად კომბინაციების განუწყვეტელ ტრიალში, ამ დამოუკიდებლობას რეალურ მოვლენათ გადაქცევა დაეტყო რაც ვიცანით ჩვენ საქართველოს კომუნისტებმა, ამაში მენშევიკების „პოლიტიკურ ხაზს“ იმდენივე დამსახურება მიუძღვის, რამდენიც იმ პატივცემულ გვამს, რომელიც „из нужды делает добродетель“...

ეს პოლიტიკაში. როგორი სურათი გადუშალეს მენშევიკებმა სტუმრებს ეკონომიკაში? ჩვენში ხომ მათი უკანასკნელი ფიცით, უსისხლო სოციალისტური რევოლიუცია სწარმოებს, უკვე 80 პროცენტი წარმოების მუშების და გლეხების ხელშია, კიდევ რამოდენიმე თვე—და საბრძოლველი აღარაფერი ექნება მშრომელებს, გარდა ბუნების ძალთა დამორჩილებისა და წარმოების ნაყოფიერების დაუსრულებელ ზრდა-განვითარებისა.

ეკონომიკაზე სდუმს „ერთობა,“ გადაკვრით ულაპარაკნიათ სტუმრებსაც, ცხადია კი, რომ ამ სფეროში კაპიტალისტური წარმოების ღირსებებიც კი და კაპიტალისტური წარჩინების ნიშნებიც ვერ აღმოუჩენიათ. გვაგონდება მენშევიკების დეკლარაცია ამ. კავკ. სეიმში ნ. ჟორდანიას მიერ დასაბუთებული: ჩვენი მოწოდებაა ბურჟუაზიული წყობილების შექმნა და განვითარებაო. გვაგონდება კ. ჩხეიძის განცხადება 1918 წ. რკინისგზელთა ყრილობაზე: ჩვენ უკვე გავაღრმავეთ რევოლიუცია, მეტი გაღრმავება აღარ შეგვიძლია და არც შეიძლებაო. ასე რომ სოციალისტური ფარშავანგის ფრთების ბოლოზე ჩამოკიდება ცოტა ნაადრევი უნდა იყოს.

რას ამბობს საბოლოოდ სტუმრების ატესტატი? „მათ სთქვეს, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსია ერთა ლიგაში მიღებისა“... აი ჯილდო რევოლიუციისაგან გამოთიშულებისთვის! რა თავმოსაწონი და აღმაფრთოვანებელი საჩუქარი და დაფასება „სოციალისტებისათვის“ და „დემოკრატებისათვის“ მათთვის დაპირება: ლოიდ ჯორჯის და კლემანსოს ბაგაზე მიბმის ღირსათ გიცანითო! „ერთობა“ რასაკვირველია ცას ეწევა სიხარულით ამ დაპირების გამგონე.

სტუმრებს კიდევ ერთი დაპირება გაუციათ: „საქართველოს შეუძლია მოიზიდოს ცილძალი ტურისტები უცხოეთიდან. საჭიროა საქართველოს სასარგებლოთ პროპაგანდის გაწევა, რათა ტურისტები მოაწყდინ ამ მხარეს, რომელსაც ეკონომიური მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის აუცილებელია ევროპიდან საქართველოში მოგზაურობის გაიაფება, მოსვლა და დაბრუნება ათას ფრანკზე მეტი არ უნდა ეღიროს“.

აი მთელი სიგრძე-სიმაღლით მეორე ინტერნაციონალის რაინდის ტიპი!

მსოფლიოს წარღვნის დროს ის ფიქრობს ევროპის გასისხლიანებულ ბურჟუების დროს გასატარებელ მოგზაურობის გაიაფებაზე, თუმცა არ ივიწყებს, რომ „ტურისტები“ სხვა-რამ საქმეებსაც მოაკვარახჭინებენ მიმზიდველ, კეკლუც საქართველოში.

ასეთ ფრიად სერიოზულ და „სოციალისტურ“ პროპაგანდის მიზნით ხომ არ დარჩენილა 15 ოქტომბრამდე ერთი სტუმართაგანი?

# აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

**ყრილობის მესამე სხდომა.**

(გაგრძ. იხილ. „ახ. კომუნ“. № 50)

**ამხ. კორკმასოვის სიტყვა.**

თურქესტანელ (უპარტიო) ნარბუტაბეკოვს უპასუხებს დაღესტანის ღარიბ-ღატაკთა წარმომადგენელი ამხ. კორკმასოვი.

**კორკმ. სოვი.** ამხანაგებო! იმ მხურვალე, შთამაგონებელი სიტყვით, რომლითაც ჩვენ მოგვმართა ამხ. ზინოვიევმა და მოგვიხმო ჩვენ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ, მან აღძრა ყრილობის ყველა მონაწილეთა გულში ის გრძნობები, რომლებიც წინეთაც აღფრთოვანებდენ მთიულეთის ღარიბ-ღატაკთ. მთიულეთის ღარიბ-ღატაკებმა ამოღებული ხმალ-ხანჯლებით, რომლებიც განბანილნია მოხალისეთა სისხლით, ნათლათ დაგვიმტკიცეს, რომ ისინი ეხლაც, როგორც ყოველთვის, მზათ არიან გაყვნენ თავიანთ გმირ ბელადებს, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადონ მსოფლიო იმპერიალიზმის მტაცებელ-საზიზღრებს, რომ გაანთავისუფლონ აღმოსავლეთის და დასავლეთის ჩაგრულ-წამებულნი. (მქუხარე ტაშის კვრა.) ამხანაგებო, ამ თქვენი გადამწყვეტ—გაბედული დემონსტრაციის შემდეგ რა საჭიროა ამ კითხვაზე კამათი? ასეთი რამ გაუგებარი და უცხოა მთიულ ღარიბ ღატაკებისთვის. თავიანთ ყრილობაზე, ერთი თვის წინათ მთიულ ღარიბებმა მოუხმეს ყველას „გაზავატისაკენ“ სამღვრთო ომისაკენ.

აღმოსავლეთის დაჩაგრულებს არ შეუძლიათ დაუშვან იარაღი ძირს, მანემდის, სანამ არ იქნება განადგურებული მსოფლიო ღარიბ-ღატაკების და ყველა ხალხების, მშრომელების მტერი (ტაში) მთელ ღარიბ ღატაკებისთვის ზედმეტია ყოველივე სიტყვები.

დიდ სოციალისტურ რევოლიუციის დაწყების პირველ დღიდან ის განუწყვეტლივ ებრძოდა არა მარტო შინაურ კონტრ-რევოლიუციონერებს: იმამებს და მთიელთა მთავრობას, არამედ ის ებრძოდა გარეშე იმპერიალისტებს: ინგლის. ოსმალეთისას და მათ მიერ დაქირავებულ დენიკინელებს და ბიჩერახოველებს. ამიტომ, ცხადია, ამხანაგებო, რომ მთიულ ღარიბ ღატაკებს, რომლებმაც თავის-თავზე განიცადეს ასეთი სასტიკი ბრძოლის შედეგები, არ შეუძლიათ იყუყმანონ ეხლა და წარმოსთქვან რაღაც აზროვანი სიტყვები. მაგრამ, ნება მიმეცით ამხანაგებო, მოკლეთ გადმოგცეთ თქვენ, თუ რა მოხდა ამ სამი წლის განმავლობაში. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ადგილობრივი ცხოვრებიდან, ჩრდილო-კავკასიის მშრომელების ცხოვრებიდან ამოღებული ფაქტებით, რაც ცოცხალი ხიდია აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის, გავაშუქოთ დიდი ჭეშმარიტებები, რომლებიც გამოსთქვეს აქ ამხ. ამხ. ზინოვიევმა და რადეკმა საერთაშორისო პოლიტიკისა და აგრეთვე საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

თავისი თავგანწირული ბრძოლის გამო, ისეთი ბრძოლის როგორიც არ იცის ჯერ არც ერთმა რევოლიუციამ; არ იცის არც ერთმა ხალხმა. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს თავისუფლება და ეს თავისუფლება თითქმის „ხონჩით“ უბოძეს აღმოსავლეთის ხალხებს. რა მოხდა მერე? ჩვენი გაბატონებული კლასები: თავადები, ხანები, ბეგები, მდიდრები და მულლები შეეცადნენ გაუვალ კედლათ აყუდებულიყვნენ სოციალისტური რევოლიუციასა და დატანჯულ მთიულ ღარიბ-ღატაკებ შორის. მაშინ ამ პარაზიტების მიერ ოსმალეთის იმპერიალისტების ინტრიგების წყალობით, გამოყვანილ იქნა სცენაზე კერპათ—იმამი, როგორც სარწმუნოებრივი იარაღი მშრომელი მასების დასაჩაგრავად.

რა კომედიაა! დიდებულ შამილის შემდეგ, რომელიც მთიელ ღარიბ ღატაკებს იცავდა ხანების, ამ თვითმპყრობელობის აგენტების ძალადობისაგან, იმამის ხარისხი ებოძა ნაჟმუდინ გოცინსკის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით იყო გასამართლებული და თვით მეფის მთავრობის დროსაც ციხეში იჯდა ამ საქმისათვის. როგორ უპასუხა მთიულ ღარიბ ღატაკებმა ამ კომედიას, მოითმინა თუ არა ეს? არა, მან სამოქალაქო ომი დაიწყო ამის საპასუხოთ. ყოველი ცდა პანისლამისტების და პანთურქისტების, ყოველი ცდა ინგლისელების და ნიკოლოზის აგენტების უნაყოფო გამოდგა, მან მიზანს ვერ მიაღწია. ერთ წელიწადსაც არ გაუვლია და იმამი უკვე ძირს ჩამოაგდეს. მას იმათაც უღალატეს, ვინც წინათ თავგამოდებით იცავდა. მას იმამის მაგიერ „ივანი“ დაარქვეს სახელათ. დაღესტნის ღარიბ-ღატაკები თავიანთი სოციალისტების ხელმძღვანელობით შეუერთდა წითელ რაზმებს და მათ გამოაცხადეს დაღესტანში საბჭოთა მთავრობა. ძნელია სიტყვით გადმოცემა იმისი, თუ რა სიხარულის გრძნობებს განიცდიდენ დაღესტანის მშრომელები.

„ეს მთავრობა—ჩვენი, ღარიბ-ღატაკების მთავრობა არისო—ამბობენ ისინი· განა ამის შემდეგ შეგვიძლია ჩვენ ისეთი სიტყვები წარმოვსთქვათ, როგორიც ეხლა აქ წარმოითქვა? ასეთი წუწუნი და საყვედურები უცხო არის ჩვენი ღარიბ-ღატაკებისათვის. ამხანაგებო! მთიული თავადები, გენერლები და მემამულეები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა გამძვინვარებული რუსეთის კონტრ რევოლიუცია და რომლებიც დაამარცხა რევოლიუციამ, ნათლათ ხედავდენ, რომ მთიულელ ხალხთა მასსებში ძლიერია თათრის ხალხისადმი სიყვარული. ამიტომ მათ იმედის თვალი მიაპყრეს იმ ოსმალეთს, სადაც ბატონობდენ ყოველგვარი ფაშები, ბეგები და აღალარები და ისინი ვინც მშრომელების კისერზე არხეინათ ისხდენ—შეიძლება აქედან რაიმე დახმარება მოგვცენ, რომ დავამარცხოთ მთიულეთის ღარიბ-ღატაკებიო — ფიქრობდენ ისინი.

და მართლაც მოვიდენ თათრები. მე ძლიერ ვსწუხვარ, რომ აქ ვერ ვხედავ მთიულეთის კონტრ-რევოლიუციის ორგანიზატორს და სულის ჩამდგმელ ენვერ ფაშას, რომელმაც დაივიწყა პირველი მლადოთურქების იდეალები და ძველი სულთანების სასახლეებში ჩარმოევის, კოცევის და ნიკოლოზ მეორის სხვა გენერლების დახმარებით მოაწყო კონტრ-რევოლიუცია საბჭოთა მთავრობის ჩამოსაგდებათ (ტაში).

მობრძანდენ თათრები და რა გააკეთეს მათ? ახალგაზდა თურქები იუზუფ იზეტ-ფაშა, ნური ფაშა და სხვა ფაშები და აღალარები, რომლების მოვალეობა იყო მათ საყვარელ იმპერიალისტურ ფრონტებზე გამარჯვებები მოეპოვებიათ; მოვიდენ დაღესტანში, რომ შექმნათ მშრომელების საწინააღმდეგო ფრონტი და მართლაც ბიჩერახოვის ყაზახების და ნიკოლოზის ოფიცრების დახმარებით მათ შესძლეს დროებით დაემარცხებიათ დაღესტანის საბჭოთა მთავრობა, მაგრამ რა მიცეს ამ მთავრობის მაგიერ დაღესტანის ღარიბ ღატაკებს?—მათ მისცეს თავად ტარკოვსკის—ერთი კაცის დიქტატურა. აი რა ფორმებში ჩამოისხა დიად სოციალისტურ-რევოლიუციის ხანაში ახალგაზდა თურქების იდეოლოგია. სხვა გზა ხალხის საჭირბოროტო კითხვების გადასაწყვეტათ მათ ვერ მონახეს. ტარკოვსკის ამ კონტრ-რევოლიუციონერის და თავის ხალხის მოღალატე-გამყიდველის გარშემო შემოკრბენ ყოველგვარი კოცევები, ჩერმოევები და სხვები, რომლებმაც გამოაცხადეს მთიულეთის რესპუბლიკა. მაგრამ არ გასულა რამდენიმე თვე და ამ ავანტიურისტების ხროვამ გაძარცვა მშრომელი ხალხი, დაყიდა თათრების დატოვებული იარაღები და მას შემდეგ, რაც უკვე აღარაფერი იყო ისეთი, რის გაყიდვაც შეიძლებოდა, თვით ეს მთიულეთის ხალხები დავლათ მიუგდო მოხალისეთა ბანდებს. ამგვარათ იქნა გათამაშებული საბრალო კომედია რომლის იარაღი კი იყო—„მთიულეთის მთავრობა“. მოხალისეებმა რომელთაც ეხმარებოდა ინგლისელები, დაინახეს, რომ ბალშევიკების დასამარცხებლათ ყველაფერი არ გაუკეთებია თათრებს და მის დაქირავებულებს, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს საბჭოთა მთავრობის ყველა მომხრეებს იყვნენ ისინი კერძო პირები, თუ საზოგადოებები. თათრები ბალშევიკებს ატუსაღებდენ და ბალშევიკურ სოფლებს კი კონტრიბუციას ახდევინებდენ, მოხალისეებმა კი გადასწყვიტეს, რომ თათრებს ცოტა გაუკეთებიათ. რომ კონტრ რევოლიუციონერებმა უფრო მეტი უნდა შესძლონო და ნამდვილი ფრონტი გახსნეს მთიულეთის ღარიბ ღატაკების წინააღმდეგ. ამხანაგებო, ეს გმირული ბრძოლა, რომელმაც ერთი წელიწადი გასტანა, თქვენ კარგათ გახსოვთ, ამ ბრძოლის დროს დაღესტანი შეიღება თავისივე სისხლში, რომელიც მან დაღვარა წითელი დროშისათვის (ტაში). თქვენ აგრეთვე კარგათ იცით, ამხანაგებო, რომ მთიელების ღარიბ-ღატაკებს ამ განგრძლივ თვეების ბრძოლების დროს უხდებოდათ აგრეთვე ბრძოლის წარმოება მუსავატის აგენტების და თათრის კონტრ რევოლიუციონერების წინააღმდეგ, რომლებმაც ნური ფაშის (ენვერ ფაშის ძმის) მეთაურობით საშინაო კონტრ-რევოლიუციონური ფრონტი გახსნეს. ეს ბრძოლა ტრაღიკული იყო. ამხანაგებო, მთიულეთის ხალხმა მოისურვა თუნდაც თავისი მცირედი დახმარება გაეწია წითელ არმიისათვის, რომელიც სასტიკათ ამარცხებდა კონტრ-რევოლიუციას რუსეთის ველებზე. ეს ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მთიულეთის წითელ პარტიზანებმა ბრძოლის დაწყების მეთორმეტე თვეზე აიღეს ქალაქები თემირ ხან შურა, დერბენტი და პეტროვსკი და ამრიგათ წითელ დროშებით შეხვდენ წითელ არმიის პირველ რაზმებს.

ამიტომ იმ დროს, როდესაც კითხვა სდგას მსოფლიო რევოლიუციის შესახებ, ამ დროს მთიულეთის ღარიბ-ღატაკებს შორის ადგილი არ ექნება რაღაც შინაურ და კერძო საქმეებზედაც ლაპარაკს, რომლებზედაც მოგვითხრობდა აქ თურქესტანელი ამხანაგი. ჩვენ უნდა უთხრათ და ვეუბნებით კიდეც ამ საზიზღრებს—ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტებს, რომ ჩვენ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მოწვევდის და ჩვენი ბელადების მოწოდებამდის, გამოუცხადეთ მათ გაზავატი—სამღვრთო ომი და ხვალ კი იარაღით ხელში შევებრძოლებით მათ. (მქუხარე ტაში). ამიტომ, ამხანაგებო, ნება მომეცით შემდეგი მოწოდებით დავამთავრო ჩემი სიტყვა.

გაუმარჯოს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს! გაუმარჯოს დასავლეთის დაჩაგრულ მშრომელ მასსებს! გაუმარჯოს მათ კავშირს მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ! (ტაში) გაუმარჯოს მათ ძმურ კავშირს დიდებულ წინამძღოლების—ამხ. ლენინს, ტროცკის და ზინოვიევის ხელმძღვანელობით, რათა განადგურებულ იქნას ჩვენი მტრები—მსოფლიო იმპერიალისტები და კაპიტალისტები. (ტაში).

(გაგრძელება იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

**რ. კ. პ. კონფერენციის ანგარიში.**

მოსკოვი, 28 სექტემბერი. რ. კ. პ. ეხლახან დასრულებულ კონფერენციაზე ყველაზე უფრო თვალში გვეცემოდა პარტიული ერთიანობა. ეს ერთობა იმდენათ თვალსაჩინო იყო, რომ ყველაზე უფრო მწვავე და ავადმყოფ საკითხებზე, ოპოზიციამ საჭიროთ აღარ სცნო თავისი საკუთარი რეზოლიუცია წამოეყენებია. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია წარმოდგენილი იყო კომიტეტისაგან, რომელშიც ორივე მიმდინარეობის წარმომადგენლები შედიან. ეს ჯერ არყოფილი ერთობა და შეკავშირება პარტიის, ამ კონფერენციის და მახასიათებელ სახეს წარმოადგენს, და—მასთან ერთათ, მის ღვაწლსაც. კონფერენციამ ყველა საკითხები საერთაშორისო მდგომარეობაზე გულდასმით განიხილა და პოლიტიკური ხაზი, რომელიც, როგორც პოლონეთთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანობის ჩამოგდებას ელტვის. აგრეთვე კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი გარდაწყვეტილებათა ორგანიზაციულ საკითხზე.

**ბუხარაში მომხდარი რევოლიუციის შესახებ.**

ბაქო, 20 სექტ.

**გრანდიოზული მიტინგები.**

წითელ ბუხარელი ჯარების მიერ ძველი ბუხარის დაკავების შემდეგ, ქალაქის განაპირა უბნებში შესდგა მიტინგები. მიტინგებს ესწრებოდა მრავალი ხალხი წითელი დროშებით. ამავე დღეს ქალაქის მრავალ ადგილებში მოხდა მიტინგები.

**ტუსაღების განთავისუფლება.**

ძველი ბუხარის ყველა სატუსაღოებიდან და სარდაფებიდან გაანთავისუფლეს ემირის მთავრობის მიერ იქ დამწყვდეული ყველა ტუსაღები. ტუსაღები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდენ. ტუსაღების ნაწილი იტანჯებოდენ ციხეებში 1918 წლიდან.

**მშვიდობიანობის აღდგენა.**

ძველი ბუხარის განაპირა კუთხეების მცხოვრებნი, რომლებიც შერეკილნი იყვნენ ციხეებში, დაბრუნდნენ თავთავიანთ ადგილებში და თავის სახლებიდან გამოკიდეს წითელი დროშები. ქალაქში აღდგენილია წესიერება. შესდგა განსაკუთრებული კომისია, აგრეთვე შესდგა მეორე კომისია, რომლის მიზანია—დახმარება აღმოუჩინონ მათ ვინც სამხედრო მოქმედების დროს დაზარალდენ. ძველი ბუხარიდან ემირის ჯარების გასვლის შემდეგ, ქალაქში დარჩენილ ემირის აგენტებმა ცეცხლი წაუკიდეს იმ შენობებს, რომლებშიც ინახებოდა ემირის მიერ ნაძარცვი ძვირფასი ნივთები. მაგალითათ, მიუხედავათ ცეცხლის ჩასაქრობათ მიღებულ ზომებისა, ნაცარტუტათ აქციეს კუშ-ბეგის სასახლე. ცეცხლის ჩასაქრობათ გამოყვანილ იქნა ბუხარის მთელი მცხოვრებლები.

**ემირის მდიდარი განძეულობა.**

ძველ ბუხარაში აჯანყებულ ბუხარის ხალხმა ხელთ ჩაიგდო ემირის თითქმის მთელი სიმდიდრე. ქალაქის დაკავების შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში, სახალხო ბანკში მოაგროვეს სხვა და სხვა ადგილებიდან რამდენიმე ათეული ფუთი ოქრო ზოდებათ და სხვა ნივთების სახით, რამოდენიმე ათასი ფუთი ვერცხლი ზოდებათ და რუსულ მანეთებიანი. ემირის საწყობებში აღმოჩენილ იქნა აუარებელი სხვა და სხვა ნივთები მილიარდი მანეთის ღირებული, მაგალითად: ფართლეულობა, ბამბა, ტყავეულობა და (კრაველი) კარაკული. ძველ ბუხარაში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ქალაქი გაწმენდილია ყაჩაღთა ბრბოებისაგან.

ცეცხლი ყველგან ჩაქრობილია. ბუხარის რევოლიუციონურ მთავრობის მიერ ყველგან აღდგენილია რევოლიუციონური წესრიგი. მიღებულია ზომები ქონების მოსავლელათ. მუქთახორებს გამოუცხადეს შეუბრალებელი ომი. ყოფილ ემირის სასახლის თავზე ფრიალებს გამარჯვების სიმბოლო—წითელი დროშა.

ძველ ბუხარაში დაარსდა საკომენდანტო. ქალაქი დაყოფილია ათ რაიონათ. ატუსაღებენ ქალაქში დარჩენილ ემირის ყოფილ მოხელეებს. ქალაქის ყოველ კუთხეში ეწყობა მიტინგები. ყოველ ქუჩებში ავრცელებენ ახალ რევოლიუციონურ მთავრობის მოწოდებებს.

**ამხ. ლენინის სიტყვა პოლონეთთან ომზე და მსოფლიო პოლიტიკაზე.**

**მოსკოვი**, 29 სექტ. რ. კ. პ. კონფერენციის პირველ სხდომაზე ლენინმა წარმოსთქვა: „ჩვენი უკან დახევის გამო შექმნილი მძიმე მდგომარეობა არც სრულს დამარცხებას წარმოადგენს. ჩვენ მკაცრათ მოვატყუეთ ჩვენს სისუსტეში დიპლომატების იმედები, და დავამტკიცეთ, რომ ჩვენ პოლონეთს არ დავუმარცხებივართ, მან ვერ შეინარჩუნა ბალშევიკების უკანასკნელი მოწინააღმდეგის როლი. საერთაშორისო პროლეტარიატი ჩვენსკენაა, ჩვენსკენ არიან წვრილი ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც, რომლებიც

ანტანტის ულლის ქვეშ სულს ლაფავენ. ჩვენ კიდევ უწინ დავინახეთ, რომ პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც ანტანტის ჰირისუფლება არ გამოადგა, და რომლებიც თავისი ქვეყნის ბალშევიკებს ხვრეტდენ, ახლა მოკავშირეების სურვილის წინააღმდეგ ჩვენთან ზავს ჰკრავენ. ეს მოვლენა ახლა მთელი ქვეყნის ყველა კუთხეში თანდათან ძლიერდება. ვარშავასთან ჩვენი ჯარების მიახლოვებისას მთელი გერმანია ფეხზე დადგა, აბობოქრდა. იქ ისეთი სურათი გადიშალა, რომელსაც ალაგი ჰქონდა ჩვენში 1905 წელს. მეორე შედეგი ჩვენი ვარშავასთან მიახლოვებისა, ევროპის, განსაკუთრებით კი ინგლისის, რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებაა. როდესაც ინგლისის მთავრობამ ჩვენ ულტიმატუმი წარმოგვიდგინა, აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ საჭირო ყოფილა ჯერ ინგლისის მუშებთან მოლაპარაკება, ამ მუშებმა—კი, რომლის ხემძღვანელების ცხრა მეათედი—ჰირვეული მენშევიკებია, ინგლისის მთავრობის ულტიმატუმზე „მოქმედების კომიტეტის“ შექმნით უპასუხეს.

„მოქმედების კომიტეტი“—მუშების გაერთიანებაა პარტიული მიმართულების მიუხედავათ, ეს ისეთი გაერთიანებაა, რომელიც მთავრობას კონკურენციას უწევს. „მოქმედების კომიტეტის“. მენშევიკები მოვლენათა მსვლელობის გარდაუვალობის კანონით იძულებული არიან მუშებს გზა გაუკაფონ ბალშევიკურ რევოლიუციისაკენ. ინგლისის მენშევიკები, გავლენიანი პირების მოწმობით, თავს მთავრობათ გრძნობენ, ემზადებიან უკანასკნელის ალაგი დაიკავონ. თუ მოხდება ასეთი კაბინეტების გამოცვლა, მაშინ ეს ინგლისის პროლეტარიატის საერთო რევოლიუციონურ პროცესში შემდეგი საფეხური იქნება. ეს დიდი წინსვლა ინგლისის მუშათა მოძრაობაში მუშათა მსოფლიო მოძრაობას, და პირველ ყოვლისა მუშათა მოძრაობას საფრანგეთში, ძლევამოსილებას ანიჭებს.

ასეთია შედეგები ჩვენი უკანასკნელი პოლონეთის კამპანიის, საერთაშორისო პოლიტიკის და დასავლეთ ევროპაში შექმნილ ძალთა ურთიერთ განწყობილებათა. ახლა ჩვენ წინ დგას უფრო მძიმე საკითხი, საკითხი ომზე. ჩვენ გვინდა ჩვენთვის მძიმე ზამთრის კანპანია თავიდან ავიცილოთ. ჩვენ ისევ წინადადებას ვაძლევთ პოლონეთს მისთვის ხელსაყრელი, ჩვენთვის არა-ხელსაყრელ ზავზე; მაგრამ შესაძლოა, რომ ბურჟუაზიული დიპლომატები თავისი ძველი ჩვეულებისამებრ, ჩვენს აშკარა განცხადებას ჩვენი სისუსტის შედეგათ ჩათვლიან. ეჭვს გარეშეა, რომ მოწინააღმდეგეს ზამთრის კამპანია გადაწყვეტილი აქვს. ჩვენს წინააღმდეგაა მომართული პოლონეთის, საფრანგეთის და ვრანგელის ბლოკი. საფრანგეთი უკანსსკნელ იმედს ვრანგელზე ამყარებს.

მაგრამ ეგ ბლოკი ძველი ავათმყოფობით იტანჯება,—შემადგენლობის ინტერესების შეურიგებლობით და იმ შიშით, რომელსაც შეპყრობილი ყავს პოლონეთის წვრილი ბურჟუაზია. უკანასკნელს შავრაზმულ რუსეთის და მისი ტიპიური წარმომადგენლის ვრანგელის იმედი არა აქვს. პოლონელები აშკარათ ხედავენ, რომ ამ ომიდან სრულიად განადგურებული გამოვლენ. წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლებმა იციან, რომ ომამდისაც პოლონეთის მდგომარეობა კრიზისის კარებთან იყო მისული, რომ ომს მოაქვს კიდევ დიდი განადგურება, ამიტომ ისინი ზავს არჩევენ.

აღმოჩნდა მეტათ ყურადსაღები ფაქტი—პოლონეთის არმიის სოციალური შემადგენლობის შეცვლა. მთავრობა იძულებული შეიქნა მოზრდილები გაეწვია ჯარში, რომელთა უმრავლესობა მუშებისაგან შესდგება და საშინელ მსოფლიო ომში მონაწილეობას ღებულობდენ. ამნაირათ პოლონეთის ჯარები დღეს ყმაწვილებისაგან არ შედგება, რომლების მოტყვილება ადვილათ შეიძლება, არამედ დავაჟკაცებულთაგან რომლების გაბრიყვება შეუძლებელია. პოლონეთმა გადალახა ის საზღვარი, რომლის იქეთ მას უზრუნველყოფილი ჰქონდა ჯერ მაქსიმალური ჭამარჯვება და შემდეგ კი მაქსიმალური მარცხი. თუ მაინცადამაინც იქნება ზამთრის კამპანია, ყოველ ეჭვს გარეშეა, ჩვენ გავიმარჯვეთ, მიუხედავათ ჩვენი მოქანცულობისა.

ამის თავდებია ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. იგი საგრძნობლათ გაუმჯობესებულია.

შედარებით წარსულ წელზე, ჩვენ შევქმნით მტკიცე ეკონომიური ბაზა. ჩვენ გვაქვს 100 მილიონზე მეტი ფუთი ნავთი. დონეცის ოლქი თვეში 30 მილიონზე მეტ ფუთს ნახშირს იძლევა. საგრძნობლათ გაუმჯობესდა შეშის დამზადებაც. ყველა ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ, თუ ჩვენ მთელი ძალ-ღონეს მოვიკრეფთ და შევკუმშავთ, გამარჯვება ჩვენსკენ იქნება“.

### გერმანიაში განიარაღებულ წითელ არმიელებს.

**მოსკოვი, 29 სექტ.** რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ თავმჯდომარემ ამხ. ლ. ტროცკიმ შემდეგი მიმართვა გამოაქვეყნა: „რუსეთის კონტრ-რევოლიუციის აგენტები, რომლების უმრავი რიცხვი დათარეშობს ბურჟუაზიულ გერმანიაში, სარგებლობენ შექმნილ მდგომარეობით, რათა წითელ არმიელთა შორის ერთგვარი რღვევა შეიტანოს, ცდილობს მტრობა დაბადოს სარდლობასა და არმიელებს შორის და მათი წრიდან გაიყვანოს მოხალისეები ვრანგელის ჯარისთვის. ასეთ კაინისებურ მუშაობას რამდენიმეთ წარმატება ექნება იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში განიარაღებული ჩვენი მოძმეები დავიწყებულათ, მიტოვებულათ და ობლათ იგრძნობენ თავს. ამას კი ადგილი არ ექნება. პირველ ყოვლისა განიარაღებულებმა უნდა იცოდენ, რომ გერმანიის ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც ანტანტისაგან თვით იტანჯება, წითელ არმიელებს თბილი თანაგრძნობით ეპყრობა გერმანიის მრავალ მილიონიანი მშრომლები მათთან არიან.

დროებით ჩვენზე მოწყვეტილებს აქედან უნდა უთხრათ, რომ არა თუ წითელი არმია, არამედ მთელ მუშურ-გლეხურ ქვეყანას ახსოვს და ყოველი ღონეს ხმარობს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, სამშობლოში მათი მალე დაბრუნებისათვის.

ამასთან ერთათ წითელი არმია ჩვენგან გაიშულ მეომრებს მოაგონებს, რომ ტყვეობის მძიმე პირობებში მათი მოვალეობაა ისე მოიქცნენ, როგორც შეეფერება საერთაშორისო მშრომელ კლასის მხედრებს. ზნეობრივი სიმტკიცე არ უნდა დასუსტდეს. შინაგანი ამხანაგური დისციპლინა, ინტერსთა სოლიდარობაზე აღმოცენებულ-დაყრდნობილი, ყველა შეგნებული და პატიოსანი მხედარისგან სათუთათ უნდა იქმნეს დაცული. პროვოკატორები და გამცემები ამხანაგურ სამსჯავროში უნდა იქმნენ მიცემული და ძმათა წრიდან გაძევებული

სალამი გერმანიაში განიარაღებულ წითელ არმიელებს: ვუსურვებთ მათ მხნეობას, თმენას და შეურყეველ ენერგიას“.

### სახელმძღვანელოები

**ბაქო, 28 სექტემბერი.** განათლების სახალხო კომისარიატი ტიურქულ ენაზე სახელმძღვანელოებს ბეჭდვას შეუდგა. ამ დღეებში ტიურკულ ენაზე ახალი საბჭოთა სიტყვარი გამოვა.

### განათლება

**ბაქო, 28 სექ.** სამი თვის განმავლობაში ბაქოში და მის მახლობელ რაიონში გაიხსნა 223 „სკოლა მოზრდილთათვის“.

## უკანასკნელი ცნობები

30 სექტემბერი.

**სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის“ საველე შტაბისა.**

**მოსკოვი 30 სექტემბერი.**

**პოლონეთის ფრონტი**

სლონიმის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

პინსკის რაიონში ჩვენ სასარგებლოთ მკაცრი ბრძოლები გრძელდება ქ. პინსკთან.

ნოვგოროდ-ვოლინის რაიონში დაბა ვორიადნიციდან მოწინააღმდეგე გავრეკეთ.

პროსკუროვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეჟიბოჟთან, ბრძოლები გრძელდება.

**ყირიმის ფრონტი**

დნეპრიდან და ალექსანდროვსკიდან აზოვის ნაპირებამდის გრძელდება მკაცრი ბრძოლები.

## მებრძოლთა ხმები

(ი. გოდინიდან)

ვინც წინად გვფლობდა ჩვენ სისასტიკით,
ვაჭრობდა ჩვენი ხორცით და სისხლით,

დღეს ის ცახცახებს! ქვეყანა შრომის
სამსჯავროსა ქმნის რისხვის და წყრომის

მსოფლიო მდიდრებს და მათ კაპიტალს
შავი დღე უდგას! ვაი იმათ ბრალს!!

გუშინდელ მონას ბრძოლა იტაცებს.
გუშინდელ მონა მედგრად ებრძვის
მტერს.

თავგანწირულთა ისმის ყიჟინა:
„ჩვენ ომის ცეცხლში დაგვენგრა ბინა!

სასტიკმა ომმა მოგვგლიჯა კერას!
ვეწირებოდით მბრძანებელთ ნებას!

ვმტრობდით ღატაკებს თვით ღატაკები!
მაშინ გვეძინა, ვიყავით ბრმები!

დღეს გავიღვიძეთ და ვახელთ თვალებს!
ვადგენთ ტანჯულთ და ჩაგრულთა რაზმებს!

რომ ქვეყნათ შევქმნათ მეფობა ძმობის,
მივდივართ ომით, მომსპობნი ომის!

ჩვენ ძველ ქვეყანას მივსცემთ ცეცხლის
ალს!
ქვეყნათ ამოვფხრით ჩვენ ბოროტებას!

მსოფლიო მდიდრებს და მათ კაპიტალს
შავი დღე უდგას! ვაი იმათ ბრალს?

**სანდრო ეული.**

## ტყვე კომუნისტის სიმღერა.

ცის ტატნობზე მზე ამოდის,
სხივებს აფრქვევს ნელა ნელა,
მაგრამ ამ ჩემ ბნელ ოთახში
სამარისებრ მაინც ბნელა.
გარს მარტყიან ჯალათები,
მდარაჯობენ დღე და ღამე,
მაგრამ რისთვის? მიპასუხეთ:
დავაშავე განა რამე!
ოხ, ბორკილო, ჩემო მტერო!
შენ ხარ რკინის ხუნდი ჩემთვის!
ვერ გაგტეხ და ვერც დაგამსხვრევ,
შენ ხარ მკვლელი მებრძოლ სულის!
ვეღარ ვფრენ მე—როგორც ვფრენდი,
ვეღარ ვხედავ ხალხს ბობოქარს!
ჯურღმულივით ბნელ ციხეში
ვერ ვაჟღერებ ჩემ სულის ქნარს!

**ი. ხევისპირელი.**

### კომუნისტები ფრონტზე.

**მოსკოვი, 1 ოქტომბერი (რადიო).** ალტაის გუბერნიიდან ფრონტზე წავიდა ათასი კომუნისტი და ყოველ დღე ახალ ახალი განცხადებები შემოდის კომუნისტ მოხალისეებისაგან.

ტომსკის საგუბერნიო კომიტეტი ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირისა, აგზავნის სამხრეთ და დასავლეთ ფრონტზე 500 თავის წევრს.

**ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. ის მუშების და გლეხების გაზეთია; იგი როგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნისტი“ დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.**

**ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! დღმოუჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.**

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

## ახალი ამბები

ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის გამგეობა გაუწყებს თქვენ, რომ 3 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პრ., 123) დანიშნულია შინაურ კომიტეტის (ავტ. კომ.) ყველა წევრების თათბირი. თქვენი დასწრება უსაჭიროესია დღის რიგი; 1) მოხსენება სოციალურ დაზღვევაზე და საავადმყოფო კასები, 2) ინსტრუქცია შინაგან კომიტეტის და ავტ. კომ. წევრთათვის, 3) შინაგან კომიტეტების (ავტ. კომ.) როლი მოსალოდნელ ხოლერის და ჟამის ეპიდემიასთან ბრძოლაში.

— **სეტყვა საჩხერის რაიონში.** სეტყვა ღამის 11 საათზე დაიწყო ისეთი საშინელებით, რომ გამოღვიძებული ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა. არ დარჩენილა გაუნადგურებელი არც ერთი ნაყოფი—ხეებზე ფოთლებიც კი არ დარჩენილა. (კ.)

— **ცრუმორწმუნოება.** ამ რამდენიმე ხნის წინათ სოფ. ნადაბერში ვიღაც ავათ-მყოფი და სიცხიანი ბავშვის მცხოვრებლებს მოუყვანიათ ეკლესის გალავანში ორი ცხვარი და ცოცხლად დაუწვავთ,—ეს შეუფერებელი მოქმედება იმ მიზნით ჩაუდენიათ, რომ ბავშვის ჩვენებით ღმერთი მხოლოდ დაუკლავად მიიღებს მსხვერპლს. (ს. მ.)

— **გაზეთის დახურვა** ბათუმში დახურეს გაზეთი: „სამუსულმანო საქართველო.“ (კ.)

— **მგზავრების გაძარცვა.** ოზურგეთიდან დეპეშით იტყობინებიან: დღეს, სექტემბრის 29-ს, ნატანების გზაზე გაძარცვეს ავტომობილით მიმავალი მგზავრები. მათ გახადეს ტანისამოსი და წაიღეს რამდენიმე მილიონი მან. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

— **რუსეთ საქართველოს სავაჭრო ხელშეკრულება.** მთავრობამ მოისმინა რა ხელშეკრულების პროექტი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაადგინა მიიღოს ეს ხელშეკრულება შემდეგი შესწორებებით: პირველ მუხლში შეტანილ იქნას შესწორება, რომლის ძალით აკრძალულია ეკონომიური დამოკიდებულების დაჭერა საქართველოსა და რუსეთის რესპუბლიკის კერძო პირთა მიერ: ასეთი დამოკიდებულება იარსებებს მხოლოდ მთავრობათა მინდობილობით ან და მთავრობათა ნებართვით კოოპერატივებით, ერობათა და ქალ. თვითმართველობებით, 2-რე მე 9 მუხლში შეტანილ იქნას შესწორება სატრანსპორტო საქონლის მიღების შესახებ: ვადა გაგრძელდეს 3 თვიდან 6-მდე.

## პასუხად ესიკა ჯორბენაძეს.

**გაზეთ „ერთობის“ 220 № ში** თქვენ დიდი სიამოვნებით ეძებებით სამედიატორო სასამართლოს. ხოლო ძლიერ შეუშინებიხართ კომუნისტების რედაქციას, რომელიც მე სრულიად არ მიხსენებია და აზრათაც არ მქონებია, რომ საქმე გარჩეულიყო კომუნისტების რედაქციაში. მხოლოდ ვწერდი—საქმე გაირჩეს თფილისში როგორც ცენტრში. მე თანახმა ვარ რომ საქმე გაირჩეს დ თიანეთში, მხოლოდ რამოდენიმე შესწორებით: ბ. დოლიძე გყავთ ნაჩვენები როგორც მოწმე, ამიტომ ის მსაჯულის როლში შეუფერებელია. დაასახელეთ ისეთი პირი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ამ საქმესთან, ბ. დოლიძე კი მოწმეთ გამოიყენეთ. ჩემი მხრივ მედიატორეთ ვასახელებ კ. ხომერიკს. თქვენც დანიშნეთ მედიატორე და დრო, თუ როდის ამოვიყვანო მედიატორე და მოწმეები, მაცნობეთ დეპეშით.

**დ. ჯორბენაძე.**

## სენაკის მაზრის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა

29 სექტემბერს სენაკში მოხთა მაზრის მასწავლებელთა დელ. ყრილობა. წარმომადგენლები იყვნენ თითქმის ყველა ფილიალებიდან – დაახლოვებით 40 კაცამდე

ეს ყრილობა მოწვეული იყო ქუთაის. მაზრის მასწავ. კავშირის მომართვით.

დღიურ წესრიგში დასმული იყო სხვათა შორის ორი მთავარი საკითხი: 1) მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა და ბ) მასწავლებ. უფლებრივი მდგომარეობა, (პედაგოგიური საბჭოების დამოკიდებულება სამაზრო ერობასთან) სამწუხაროდ ეს უკანასკნელი საკითხი დროის უქონლობის გამო გადაიდო შემდეგისათვის.

მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ნიკ. ანჯაფარიძემ, რომლის სიტყვა შინაარსიანი იყო და წარმოადგენდა ცოცხალ სურათს მასწავლებელთა ეკონომიურ სიღატაკისას. „ამხანაგებო!—სთქვა მან ბოლოს—ის მასწავლებელი, რომელსაც დღეს აცვია, ახურავს და ცოლშვილსაც არჩენს, მასწავლებელი არ არის, არამედ კომბინატორი, სპეკულიანტი ან სხვა რაიმე ხელობით მეცადინე, რომელიც უფსკრულისაკენ მიაქანებს მასწავლებელთა პრესტიჟს“.

ეს მართალიც არის: მასწავლებელს თავის ჯამაგირით არ შეუძლია ჩაიცვას, დაიხუროს და ცოლშვილიც არჩინოს, თუ მას არა აქვს სხვა რაიმე ხელობა ან საშუალება ოჯახური. ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც, მაგრამ მათი სიტყვა არსებითაც ერთი და იგივეს წარმოადგენდა. ბოლოს გამოტანილ იქნა დაახლოვებით ასეთი რეზოლიუცია: „სენაკის მაზრის მასწ. დელ. ყრილობამ, გაითვალისწინა რა მასწავლებელთა კრიტიკული მდგომარეობა მატერიალურის მხრივ, დაადგინა: ა) წარედგინოს მთავარ ბიუროს საშუალებით სათანადო მთავრობას კატეგორიული მოთხოვნილება, რომ სულ მოკლე ხანში იქნეს მასწავლებლები დაკმაყოფილებული სურსათ-სანოვაგით;ბ) თუ ამას მთავრობა ვერ შესძლებს, მაშინ მიემატოს მასწავლებლებს ჯამაგირებზე 200 პროცენტი პირველ სექტემბრიდან.

**აქვ. ფარულავა.**

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

**„ახ. კომ.“**, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

## „ერთობის“ ედიპი

ერთი ერთობელი ნაცარქექია, რომელსაც ეტყობა, თუ მეტი არა, დიპლომატიური წარმომადგენლი!, ადგილის მიღება მაინც გადუწყვეტია, ასწერს ბაქოს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას და აი ასეთი „ინფორმაციით აძლებს მენშევიკების მრევლს: ზინოვიევს, რადეკის, ბელაკუნის და სხ. ჩამოსვლა მოსკოვიდან ხალხმა თურმე ვერც კი გაიგო, რადგან ჩუმათ ჩამოსულან. მათი ჩამოსვლა ბაქოელ ქართველ ედიპებს მხოლოდ მესამე დღეს გაუგიათ, ალბათ ან სასპეკულიანტო რაიონებში იყვენ ეს სამი დღე ან და საელჩოში. მოსკოველ კომუნისტების დანახვაზე ხალხს „ურას“ ძახილი დაუწყია, მარა ედიპის მოწმობით „ეტყობა რაღაც ნაძალადევია ეს ყვირილი“, თუმცა „ხალხს, ეტყობა, ეინტერესებოდა სტუმრების სახეების დანახვა“, ალბად ეინტერესებოდა „ნაძალადევად“. ედიპი დარბაზშიაც შემძვრალა—რის მენშევიკია თუ ესაპნოთაც ვერ გაძვრება სულ პატარა ხვრელშიაც!—და „ოჩენ ინტერესნი“ სურათი უნახავს; „სხედან სკამებზე ინდოელები, ყირგიზები, არაბები, კალმიკები და იმიერ კავკასიის ხალხი, თავიანთ ეროვნულ ტანისამოსში

თავებზე ხურავთ მთელი ცხვრის ტყავის ქუდები... გლეხები ისევე სოფლის ტანთსაცმელით"... ედიპს ალბათ ფიქრათ ქონია—იქ ვნახავ დელეგატებს, რომლებიც დამფუძნებელი კრების მიერ გაღებული ფულით შეძენილ სულ ერთ-ფერ პიჯაკებში და მომარაგების სამინისტროს საწყობების ბატინკებით იქნებიან შემოსილიო. რასაკვირველია ქართველი მენშევიკი ქართველი დელეგატებით უფრო „დაინტერესებულა" და ერთ მათგანს აი როგორ ალაპარაკებს: „მე შევეკითხე: თქვენ სოფელმა ამოგირჩიათ და გამოგზავნათ, თუ თქვენი ნებით წამოხვედით მეთქი. ის მიპასუხებს: არამც თუ სოფელმა ამომირჩია, ჩემმა ცოლშვილმაც კი არ იცის სადაც ვარო, ისე გამომაპარეს, მითხრეს: ბაქოში მდიდრებს წაართვეს სუყველაფერი და საწყლებს ურიგებენო, წამოდი, სანამ არ ჩაუნაწილებიათ, შენც შეგხვდებაო. მაგრამ თუ შენობები არ შემხვდება, ეს ჯამაგირიც მეყოფა. დღეში მაძლევენ 30.000 მან., თანაც მაჭმევენ, მაძინებენ"...

ყრილობაზე ორი ათასი დელეგატი იყო. ყრილობა გაგრძელდა 9 დღე. ვამოპარებულ დელეგატების ჩამოსვლას და შინ დაბრუნებას ზოგს კვირე მაინც მოუნდებოდა და ზოგს კი მთელი თვე. ახლა იანგარიშოს ედიპმა—რამდენი მილიარდი მანეთი დახარჯულა დელეგატებზე 30 ათასი მ. დღიურის კვალობაზე, ჯამი შემოთვალოს „ერთობაში". და თუ დიპლომატის ალაგს არ მიიღებს. ეგებ ფინანსების მინისტრის ადგილზე მაინც ჩარიცხონ კანდიდატთ.

ნ.

# მუშათა ცხოვრება.

### სალამი მეგობრებს.

(ძლვნათ გადასახლებულ ამხანაგებს)

მეგობრებო, სალამს გიძღვნი
გადატყორცნილთ უცხო მხარეს,
ვინ იცის სად დაგვმარხავენ,
გაგვითხრიან ცივ სამარეს.

—

შორიდან შორს ვმუსაიფობთ,
ვმსჯელობთ ახალ ცხოვრებაზე,—
ვკრულავთ ტანჯვის ძველ ქვეყანას,
ვმღერით მბრწყინავ მომავალზე...

—

მართალია, გვიანდება
მომავლისა დღე ნათელი,
მაგრამ მაინც ხომ დადგება
ის მზიანი, სანატრელი.

—

და მეც, მოხუცს, მსურს ვიმღერო,
მეც ვუმღერებ მშრომელთ რაზმსა
და ამ ქვეყნათ გამეფებას
ძმობასა და ერთობასა.

მ. ჩოდრიშვილი.

1913 წ. როსტოვი.

——

### მუშათა ცხოვრება

ჩვენ გავიმარჯვებთ
მარცხდება მტერი,
წინად ძლიერი.
მზე მშვენიერი
გვიახლოვდება.
მზის შესახვედრათ
სივრცეს გავცქერი,
ვხარობ და ვმღერი,
გული კაჟდება.
აწ არ ვიტირებთ,
აღარ ვიდარდებთ,
რადგან დავრწმუნდით
ჩვენ გავიმარჯვებთ!

კ. ნაგომრიელი.

——

### კომუნისტების ჯგუფის რეზოლიუცია, რომელიც შეტანილ იქნა ბათუმის პროფესიონალურ კავშირების სხდომაზე 9 სექტ. 1920 წ.

ვღებულობთ რა მხედველობაში:

1) რომ ამ ბოლო ხანებში სიძვირის საზღაპრო ზრდა არის კაპიტალის იმპერიალისტური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი, რომელმაც კაცობრიობა საშინელების ქარცეცხლში გადაჩეხა და მთელი მსოფლიოს მეურნეობა გაანადგურა. მივდივართ იმ დასკვნამდის, რომ მას შეიძლება ბოლო მოეღოს მხოლოდ კაპიტალისტური წყობილობის სრული მოსპობით და მის მაგიერ სოციალიზმის შემოღებით.

2) რომ საერთოთ ვერავითარი ნამდვილი ბრძოლა სიძვირესთან ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ სერიოზულათ არ შევეხებით მქონებელ კლასების „საღვთო უფლებებს" და, პირველ ყოვლისა, თუ სამუდამოთ არ ავლაგმავთ სპეკულიანტებს.

3) რომ, ამისთვის, ასეთი ზომები მშრომელ კლასს და მცხოვრებთა ღარიბ წრეებს აუტანელ მდგომარეობას ვერ გაუიოლებს.

4) რომ ასეთი ნახევარი-ზომები, რომლებსაც მიმართავს შრომის სამინისტრო (მაგ., განზრახვა—რამოდენიმე საზოგადო სასადილოს გახსნის შესახებ, მუშათა მაგიდა და სხვა), რომლებიც ოდნავათაც არ აუმჯობესებს მუშა ხალხის მდგომარეობას პირველ საჭიროების ნავთებით, და უმუშევართა უამრავი რიცხვი ბედის წერაზე რჩება,—ხელს უწყობენ მხოლოდ მშრომელთა მდგომიარეობის გაუმჯობესებისათვის მისწრაფების წინააღმდეგ ბრძოლას.

ქალ. ბათუმის პროფესიონალური კავშირის საბჭო შრომის სამინისტროს და მთავრობას წინადადებას აძლევს:

1) დაუყონებლივ შეუდგენ სპეკულიანტებისაგან და ვაჭრებისაგან პირველ საჭიროების საგნების ჩამორთმევას რეკვიზიციის საშვალებით, კონფისკაციით და სხვა.

2) მოეწყოს სასურსათო ორგანოების, კოპერატივების და სხვა საშუალებებით სახელმწიფოს მიერ ყველა მშრომელების, და მათ შორის უმუშევრების პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფის საქმე. პირველ მოთხოვნილების საგნები მუშებს დაეთმობა მაგარ ფასებში.

3) გახსნილ იქნას საზოგადო იაფფასიანი სასადილოები და საჩაიები რიცხვით იმდენი, რამდენიც საჭიროა მშრომელების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ამ მიზნისთვის ჩამორთმეულ იქნას მეპატრონეთაგან საყავეების და რესტორანების შენობები, რომლებიც ბატონ სპეკულიანტების და სხვა პარაზიტების დროს გასატარებელ თავშესაფარს წარმოადგენენ.

4) ყველა ამ ზომების განხორციელებამდის დაწესდეს მთელს რესპუბლიკაში საარსებო მინიმუმი, ადამიანის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილების მასსიური მოსახმარი საგნების მოწოდებით. დაწესდეს დღიური ხელფასი, ბაზრის ფასების მიხედვით, იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ფაქტიურათ მშრომელთა მოთხოვნილებები.

თავის მხრივ ქ. ბათუმის პროფესიონალური კავშირების საბჭო იღებს სასწრაფო ზომებს ახალი დღიური ხელფასის გამოსამუშავებლათ. ამ მიზნისთვის ის წინადადებებს აძლევს თავის სეკრეტარიატს და ცალკე კავშირების გამგეობებს მახლობელ დროში მიაწოდოს საბჭოს ამ კითხვის შესახებ გამომუშავებული პროექტი. რაც შეეხება მთავრობის მოწოდებას, რომ მუშებმა შეამცირონ თავიანთი მოთხოვნილებები, გაადიდონ შრომა და სხვა ასეთები—პროფესიონალური კავშირების საბჭო ბათუმის შეგნებულ მუშების სახელით აცხადებს, რომ ის რუსეთის პროლეტარიატსავით მზათ არის დიდი მსხვერპლი გაიღოს, თუ კი იქნება შექმნილი ისეთი პირობები, რომ ეს გაძლიერებული შრომის ნაყოფი თვით მშრომელების და არა ექსპლოატატორების სასარგებლოთ იქნება მოხმარებული და კიდევ იმ შემთხვევაში, თუ რომ მქონებელ კლასებსაც მოსთხოვენ ასეთ მსხვერპლის გაღებას. მუშათა კლასი ისეც დიდ მსხვერპლს იღებს მქონებელ კლასების საკეთილდღეოთ.

ეს რეზოლიუცია უარყოფილ იქნა უმრავლესობით 25 ხმით 10-ის წინააღმდეგ.

——

### როგორ დაიფარა ბოროტება

22 სექტემბერს მე ვიყავი ქ. სამტრედიაში და იქ ვნახე რამდენიმე ამხანაგები. შევეკითხე იქაური ამბების შესახებ, თუ რა იყო, ნა რა მოხდა.

ყველა ერთ და იმავეს იმეორებდა. მიზეზებს ბევრს ასახელებენ და სხვათაშორის, სიმინდის ყიდვა-გაყიდვასაც. საყურადღებოა ასეთი ჩარჩობა ბატონ პატრონების მიერ. სიმინდი ნაყიდი იყო სამეგრელოში ფუთი ოცდა-თორმეტ თუმნათ და კიკაბიძემ ეს წარუდგინა რკინის გზის სასურსათო კომიტეტს 350 მან. და ამაზე დამატებით აჲი პროც. სასურსათოს გამართვა. სულ რამდენიმე ათასი მანეთი მოიგო ოთხმა ამხანაგმა, და ორს კი მისცენ მარტო ათი-ათასი მან. სწორეთ იქ იყო ძაღლის თავი დამარხული. ზ. კიკაბიძემ სამტრედიის რაიონში ბევრი რამ შეიძინა თურმე ასეთი ბოროტებით. ის ვერ იძენდა მაშინ, როდესაც სამი კაპეიკი პური იყო და მიწაც ქცევა 100—150 მანეთამდე ღირდა და დღეს კი მილიონობით ევაჭრება და ყიდულობს.

განა რომელმა პატიოსანმა მუშამ შეიძინა თავისი პატიოსანი შრომით რაიმე? განა დღეს, დღევანდელ ჯამაგირით იყიდება რაიმე? განა მუშებმა თავიანთი ათეული წლობით შეძენილი არ გაიტანეს ბაზარზე და არ გაყიდეს პურის ფასისთვის?

დღეს მუშა - მოსამსახურენი მშიერმწყურვალნი დადიან ქუჩებში და კიკაბიძეების კომპანია და თვითონ თითქმის აბრეშუმებში არიან გახვეული მაშინ, როდესაც ის ნარშის საფასურს ვერ შოულობდა, როდესაც 8 კ. იყო არშინი.

სამტრედიის მუშა-მოსამსახურენი დარწმუნებული არიან, რომ „კომუნისტის" ფურცლებზე არ დაბეჭდილიყო არ გაამართლებდენ ჩვენ, მუშები კი ყოველთვის ვალდებული ვართ ასეთ რამეებს ფარდა ავხადოთ.

ნ. ც—ლი.

# სოფელი და მიწის მუშა

### გურიის დღევანდელი ვითარება.

გურიის მშრომელი მასსა მატერიალური მხრით ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. იშვიათია ოჯახი, რომელსაც სურსათი წლის ბოლომდი მიჰყოლოდეს და სასყიდლად არ დადიოდეს. აქსიომად უნდა ჩაითვალოს, რომ გურულ გლეხისათვის რა ძნელი საქმე იქმნება, რომ 1500—2000 მანეთამდე თითქმის ფუთ სიმინდში აძლიოს მაშინ, როდესაც მას არავითარი შემოსავლის წყარო არ აბადია... გურიის ერობის ოფიციოზის ცნობით 250 მანეთად ურიგდებოდა ფუთი სიმინდი გლეხებს, ეს სრული სიყალბეა... ერობა თუ არიგებდა სიმინდს იგიც თავისს მოსამსახურეებზე და შინაც ნათლიაობით, ესე იგი ვისაც ჰყავდა ვინმე „დიდი კაცი". ამას რომ თავი დავანებოთ მომავლისთვინაც არ არის გურია უზრუნველყოფილი სასურსათო კრიზისიდან, ვინაიდან ახალ მოსავალს მშიერი ხალხი აქედანვე შეუდგა უბარაქოდ მოსპობას. მართალი რომ ვსთქვათ ეს არც გასამტყუნარია, როდესაც მეტი სახსარი არ აქვს. ერთი სიტყვით უწინ წელში გასწორებული და აშაყად გამომყურე გურია დღეს დაღვრემილი და დაღონებულია.

აღსანიშნავია ერთი გარემოება კიდევ, ერობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს დანგრეულ შარა-გზების და ხიდეების შეკეთებას. მაგალითად მოვიყვან ოზურგეთ-ნატანების სახელმწიფო გზას, რომელზედაც მგზავრობა პირდაპირ ჯოჯოხეთია... დღე არ გაივლის რამე ისე, რომ ამ გზაზედ რაიმე ზარალი არ მოხდეს. მიუხედავად ამისა ამ ფრიად საჩქარო საქმეზედ გურიის „საქმიანი" ერობა სდუმს.

დაბეჩავებულს ხალხსაც გული გატეხილი აქვს, რადგანაც ის გამოვიდა სამუშაოდ, მისი მეზობელი კი არ გამოვა, რადგანაც მას ძმა ან ნათლია ჰყავს ერობაში და ან სხვა თბილ. ადგილზედ დაბანაკებული. ხმებია, რომ ახალ გადასახადებს აწერავენო, მაგრამ ცოტა ზორბად არისო!

ესღა აკლიათ საწყალ აქაურ ხალხს!

ლადო

——

### შუხუთის თემი.

წელს საერთოდ ლანჩხუთის რაიონში მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ყველას უხაროდა, რომ ეგების საყოფი მჭადი მაინც მომივიდეს და მისი ყიდვა წელს არ დამჭირდებაო. ყანებიც ბლომათ იყო დათესილი, მიუხედავათ იმისა, რომ ხვნა-თესვის დროს გლეხები ჯარში გაიწვიეს.

დათესილი იყო ჭაობიანი, დაბალი ადგილებიც. ეს უმთავრესათ გამოწვეული იყო იმით, რომ წელს თვით სოფლის გლეხებმა, რამოდენიმე დღის შრომით—თითონ გაამაგრეს რიონის ნაპირი, და ამიტომ საშიშროება რიონის გადმორების მხრივ არ ყოფილა. უწინ კი რიონი, თითქმის ეს 4—5 წელია ყანებს სულ მთლად აფუჭებდა. და მართლაც წელს მშვენიერი სიმინდები იყო.

ამას პირველად ამინდებიც უწყობდა ხელს. მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია ახლო-მახლო სოფლებში მოდის წვიმები, ხან ძალიან ძლიერიც. ხშირათ წელამდი წყალი დამდგარა ზოგ ყანებში. რასაკვირველია, ამ წვიმებმა თავისებური გავლენა მოახდინეს: შეაჩერეს სიმინდის ზრდა და დამწიფებაც. მხოლოდ ჭაობიან და დაბალ ადგილებში, სადაც წყალი იდგა იქ მოსავალი სავსებით წახდა. ახლაც კარგი პირი არ უჩანს ამინდებს. თუ ასე გაგრძელდა მოსავლის აღებაც გაძნელდება, რომც მოვიდეს სოფლის ღარიბი გლეხი იძულებული იქნება თავისი უკანასკნელი ქოხიც მიაყიდოს და იმით სიმინდი იყიდოს სპეკულიანტებისაგან საზღაპრო ფასებში.

ხილის მოსავალი სოფელში ცოტაა, რადგან ხშირმა და ძლიერმა ქარებმა ის წაახდინა გაზაფხულზე.

შუხუთელი.

# წერილი ციხიდან.

ოზურგეთის სამაზრო ციხეში ვიმყოფებით ოთხი კომუნისტი აგერ თოთხმეტი დღეა, მაგრამ ჩვენთვის არავითარი ბრალდება არ წამოუყენებიათ; მხოლოთ მაზრის უფროსმა ბატონ თაყაიშვილმა შეადგინა საპრალმდებულო ოქმი ჩვენთვის, სადაც ის სწერს შემდეგს: „დავაპატიმრე მე მაზრის უფროსმა ოთხი კომუნისტი: ირაკლი ურუშაძე, სოლომონ დოლიძე, სერგო გოგოტიშვილი და იაგორ კალანდაძე, მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის".

აი ეს ყალბი ბრალდება, რომელიც აქეთ შემუშავებული კომუნისტებისათვის მენშევიკების დამქაშებს. ამით მან შიასრულა თავისი გაიძვერული მოვალეობა და გაგვისტუმრა ოზურგეთის სამაზრო ციხეში ბატონ გ. ლომჯარიას საძიგნათ (ეს გახლავთ ციხის უფროსი, რომელიც ცდილობს დაუხშოს ტუსაღებს ისედაც დახშული ცხოვრება). მასჩვენ, კომუნისტები, ხომ კარჩაკეტილი ვყავართ და თუ ვინმე ტუსაღმა გაბედა რაიმე სიმართლის თქმა მის წინააღმდეგ, მაშინვე ჩვენ, კომუნისტებს, მოგვარდება და იძახის: „თქვენ აგვიბუნტეთ ტუსაღები და მალე გაგისტუმრებთ ქუთაისის ციხეში, ან და გადაგასახლებთო".

ამ მუქარით გვაშინებს ბატონი ციხის უფროსი, მაგრამ ამითი ვერ შეგვაშინებთ ბატონო გ. ლომჯარიავ; ჩვენ ყოველთვის დავიცავთ სიმართლეს და თავგანწირულათაც ვიბრძოლებთ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, თუ გინდ სახრჩობელაზე გაგვიყვანოთ. მაგრამ ვაი თქვენ, როდესაც გამარჯვებული მუშათა კლასი მოგთხოვს პასუხს თქვენი საგმირო საქმისათვის. მაშინ გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ახლა გვსურს ჩვენ მკითხველს გავაცნოთ შემდეგი: 15 სექტემბერს ჩვენ ყველა კომუნისტებმა რიცხვით 4 კაცმა მოვითხოვეთ ციხის უფროსისაგან ინსტრუქცია, საიდანაც უნდა გაგვეგო, თუ რა იყო თითოეულ ტუსაღისათვის მთავრობისაგან გაღებული დღიური საზრდო. ამისათვის ყველა საკნიდგან იყო არჩეული თითო კაცი, რომლებმაც მოთხოვეს ციხის უფროსს ეჩვენებია მათთვის ინსტრუქცია. მაგრამ უარი მიიღეს პასუხათ. თან ციხის უფროსმა დაამატა: თქვენ, თითეულ ტუსაღს დღეში 58 მანეთი გეძლევათო. აი, მის მიხედვით ჩვენ საჭმელს გაძლევთ და კრინტი არ დაძრათო.

ციხეში არ გვეძლევა არც საპონი, არც საექიმო—დახმარება, არაა აბნო და სხვა. ძნელი წარმოსადგენია ადამიანისთვის, თუ როგორი მდგომარეობაში ვიმყოფებით ოზურგეთის ციხეში ტუსაღები. არ ვიცით სხვა ციხეებში როგორი მასპინძლობაა, აქ-კი ჯოჯოხეთია, ცარიზმის დროს სანატრელია, და ნუ თუ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელსაც სათავეში ეგრეთ წოდებული „სოც.-დემოკრატები" უდგანან, ვერ ხედავენ ამას, და, თუ ხედავენ რათ ყურადღებას არ აქცევენ? მაგრამ მენშევიკებს დიდი ხანია სოციალისტობის სახელის მეტი (რასაკვირველია—მშრომელი ხალხის დასაბრიყვებლათ, თვალის ასახვევათ და მოსატყუებლათ) არაფერი დარჩენია. ისინი ეტოროიალებიან (თუმცა ხანდახან ძალიან უშნოთ) ბურჟუზიას, ექიმაგებიან მას ამ მსოფლიო გადატეხის დროს, უდგებიან გვერდში და გაერთიანებული ფრონტით მოაქვთ იერიშები მუშების წინააღმდეგ.

ახლოა ჟამი, როდესაც ნიაღვარი წალეკავს მშრომელ ხალხის აშქარა და ფარულ მტრებს.

ს. გურულიშვილი

# პროვინციის ცხოვრება.

### ყარაიაზი.

აქ დასახლებულთა 400-მდის კომლი ქართველობა ითვლება. თავის ნიადაგით და ჰავით ყარაიაზი გადმოსახლებულთათვის შეუფერებელი აღმოჩნდა. გახშირებული ციებ-ცხელებას ბევრი ვერ იტანს და უდროვოთ ესალმებიან წუთისოფელს. მიუხედავად ამისა, ამ რაიონში ერთადერთი ექიმია; საავათმყოფოს დაარსება დიდათ შეუწყობდა ხელს თბილისში მოსიარულე ავადმყოფებს.

წასულ წლის უმნიშვნელო მოსავლის გამო მცხოვრებლები სიმშილობაში ლაფავდენ სულს. თუ ვისმეს რამე გააჩნდა მიყიდ-მოყიდა და, როგორც იქნა, წლევანდელ მოსავლამდის მოაღწიეს, მაგრამ დახეთ ბედს: მიწათ-მოქმედის სამინისტროსაგან დარიგებულ თესლის უვარგისობის და წყალის უქონლობის გამო წლევანდელი მოსავალიც სამი თვის სარჩოს არ აღემატება.

საერთოთ გადმოსახლებულთა მდგომარეობა სხვებთან შედარებით უფრო აუტანელია. აღსანიშნავია ის, რომ დღემდის ასეთ დიდ რაიონში არავითარი საზოგადოებრივი დაწესებულობა არ არსებობს და მთელი მართვა-გამგებლობა რწმუნებულ მარუაშვილის ხელშია.

საჭიროა აქეთ მხარესაც დროზე ყურადღება მიექცეს.

აქაური.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.

# განცხადებანი


საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 9—81.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.


სტამბა ეკონომია "დიდი ვანქის ქ. № 3